# ცნობის ფურცელი

V V. ყოველ-დღიური გამოცემა. — სამშაბათი, 31 ოქტომბერი 1900 წ. № 1284

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели"—„Моамбе".

ტელეფონი № 372.



წარსული წლების ჟურნალი

**მოამბე**

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის" ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

**მოამბის**

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе".

ტფილისის კერძო

**სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და ყამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეჟირგანოვი—შინაგანი და ბავშვების—1—2 საათამდე.

გ. ლ. მარჯავინი — სდოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

**მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი**

ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი. (10—უ.—5)


## ახალი ამბავი

✦ კვირას, 29 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა საზოგადო კრება **სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა ტფილისის კომისიისა.** კრებამ მოისმინა კომისიის მოღვაწეობის ანგარიში გასულ სამოსწავლო წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ანგარიშიდან სჩანს, რომ საანგარიშო წელს კომისიას გაუმართავს 150 სახალხო კითხვა, მათგან—კომისიის შენობაში ავჭალის ქუჩაზე—57, რკინის გზის სახელოსნოების დარბაზში 49, ლამისსათევ თავშესაფარში დიდუბეში 21 დასავუბერნიო საპატიმროში 23 კითხვა. სულ ეს კითხვები მოუსმენია 8215 კაცს, მათგან 4465 ბავშვი ყოფილა, მკითხველები 27. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ კრებას მოხსენდა ფულის ანგარიში, რომლიდანაც სჩანს, რომ კომისიის უმთავრესი შემოსავალი ყოფილა საბჭოს სუბსიდია 500 მანათი. სულ საანგარიშო წელს დახარჯულა 800 მანათამდე; კომისიის კასაში 1-ლ სექტემბრისთვის დარჩენილა სულ 50 მანეთზე ცოტა მეტი. შემდეგ სათეატრო სექციებმა წარუდგინეს კრებას ანგარიში ფულისა, რომელიც დაიხარჯა შენობისა და სცენის გადაკეთებაზე, სულ 400 მანათამდე. ამის გამო კრებაზე დიდი ბაასი ასტყდა. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ რადგანაც სექციებმა თავის ნებით გადააკეთეს შენობა და სცენა და ხარჯთ აღრიცხვა კომისიას არ დაუმტკიცებიაო, ხსენებულ ხარჯის დაფარვაც სათეატრო სექციებმა იკისრონო. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: ნაწილი ხარჯისა—50 ან 60 მანათი—ეხლავ გადიხადოს კომისიამ, ხოლო დანარჩენის გადასახდელად კომისიამაც და სექციებმაც უნდა გამოსძებნონ რაიმე სახსარი ან წარმოდგენა გამართონ, ან კონცერტი, ან სხვა რამ ამ გვარი. დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე სექციების თხოვნამ იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მათ მოუმატონ ადგილების ფასს სახალხო წარმოდგენებზე. კრება სამათ გაიყო; ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ან სულ არ მოუმატონ ფასს (5 კაპეიკს) ან და მოუმატონ საერთოდ ყველა ადგილებს და გახადონ 10 კაპეიკი; რუსულ სექციის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ პირველ ხუთ რიგის ადგილებზე ფასი 15 კაპეიკი იყოს ბილეთისა, შემდეგი ხუთი რიგის—10 კ. და დანარჩენების—5 კაპ.; ქართული სექცია კი იმ აზრისა იყო, რომ 10 პირველ ადგილში ორ-ორი შაური დაინიშნოს, 10 დანარჩენში დარჩეს ისევ თითო შაური. კენჭის ყრით უმეტესობამ მოიწონა ქართულ სექციის წინადადება; ასე რომ ამიერიდან სახალხო წარმოდგენებზე პირველ 10 რიგის ადგილები 10 კაპ. გაიყიდება და დანარჩენების—5 კაპეიკად. შემდეგ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გ. ლასხიშვილის შენიშვნამ იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელ წლებში ხალხი ნაკლებ დადის რუსულ კითხვებზე და, საზოგადოდ, კითხვების საქმე ვერ მიდის სასურველად. კრება შეუდგა ამის მიზების განხილვას და კამათის შემდეგ დაადგინა: დაევალოს კომისიის ბიუროს მომავალ მორიგ კრებისთვის წარმოადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მიზეზები აბრკოლებენ კითხვების საქმეს და რა ზომები უნდა იქმნან მიღებული მათ გასაუმჯობესებლად. ბოლოს კრებამ აირჩია კომისიის მმართველობა: თავმჯდომარედ—ექიმი ნ. ა. ხუდადოვი, მის ამხანაგად—ი. ი. პლომენევსკი, ხაზინადრად—ა. ლ. კაზლოვი. მდივნად—ი. ი. ფრანჩესკი, მის თანაშემწედ—ი ლ. კობიაკოვი, შენობის გამგედ—ვ. ე. პისარენკო და კომისიის ქონების გამგედ—ე. ა. შტეინისა.

✦ კვირას, შუადღეზე, სახალხო კითხვათა კომისიის შენობაში, ავჭალის ქუჩაზე, ქარდულ სათეატრო სექციამ გამართა **ქართული სახალხო კონცერტი.** იგი შესდგებოდა ორ განყოფილებიდან, რომელთა პროგრამმა მშვენიერად იყო შედგენილი. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: ფალიაშვილის ხორო, რომელმაც აღასრულა ქართული და რუსული სიმღერები, ბ-ნი კარგარეთელი, რომელმაც ერთი ქართული რომანსი იმღერა, თავ. ბარათაშვილი, რომელმაც რამდენიმე ქართული რომანსი შეასრულა; ქ-ნ გაბუნიაცაგარლისა, რომელმაც დუდუკის აკომპანიმენტით იმღერა „ნახევარი ცხოვრების გზა განვლიე" და კონცერტის გათავებისას „გოგონა"-ზე იცეკვა, ბ-ნნი კ. მესხი და ადამიძე, რომელთაც ლექსები და სცენები წაიკითხეს და ახალგაზდა ქალები, რომელთაც როიალზე დაუკრეს რამდენიმე №№. ეს პროგრამმა მშვენივრად იყო შესრულებული და ხალხი მეტად ნასიამოვნები დარჩა. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველა ზემოდ დასახელებული პირნი, რომელნიც უანგაროდ და ხალისით იღებენ მონაწილეობას კეთილ საქმეში.

✦ შაბათს, 28 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის შენობაში მოხდა ი. ი. პურადაშვილის თავმჯდომარეობით ახლად დაარსებულ **პურის მცხობელთა ამხანაგობის** წევრთა საზოგადო კრება. სხდომაზე ბაასი გამოიწვია კითხვამ—როგორი სახის ფურნეები უნდა გახსნას ამხანაგობამ: როგორიც ეხლა არის ქუთაისში თუ მექანიური? ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა დაევალოს ამხანაგობის გამგეობას შემდეგ კრებისათვის წარმოადგინოს ამ კითხვის შესახებ თავისი მოსაზრებანი და ვრცელი მოხსენება. შემდეგ არჩეულ იქმნენ გამგენი ამხანაგობისა. გამგეობის წევრებად—ი. ი. პურადაშვილი, თავ. თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე და ბ-ნი გოკიელოვი; კანდიდატებად: ვ. ლ. ქორქაშვილი და მ. ს. ლალიძე; ზედამხედველ კომიტეტის წევრებად—იაკობ ჩიმაკაძე, ექიმი ქორქაშვილი, მღვდელი ლეკვიაშვილი და ბ-ნი სახტა.

✦ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ გზათა სამინისტრომ გამოგზავნა ტფილისში სახაზინო გზების ინსპექტორი გორჩაკოვი, რომელსაც დაევალა გამოიძიოს მიზეზები იმ უწესოებათა, რომელნიც ჰსუფევენ ამიერ კავკასიის რკინის გზებზე მატარებლების მოძრაობაში. ბ-ნ გორჩაკოვის გარდა რევიზორებად დაინიშნენ ინჟენრები იოლშინი, ორლოვსკი და სიმბერგი. კომისია გუშინვე შეუდგა მუშაობას.

✦ დღეს, 31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საერთო კრება სამეურნეო საზოგადოების წევრთა და ქალაქების და სხვა-და-სხვა დაწესებულებების წარმომადგენელთა, რომლებმაც უნდა განიხილონ პროგრამმა მომავალ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენისა. კრებაზე შეუძლიანთ გარეშე პირნიც დაესწრონ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება მიუცია ტფილისის მოქალაქის ნიკ. ჩიგიანოვისათვის გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური რუსული გაზეთა „ტელეფონა“ შემდეგის პროგრამმით: 1) რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშები და 2) განცხადებანი. გაზეთის ფასი წელიწადში იქნება ორი მანეთი.

✦ 5 ნოემბერს მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში თავ. ა. ი. სუმბათიშვილის მიერ გამართულ იქმნება ქართული საღამო. სამუსიკო, სასიმღერო და დრამატიული განყოფილების მოწყობა იკისრა მ. ნ. კლიმენტოვა-მურომცევისამ, ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ და ა. კ. კურომშენკომ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ როგორც „რუსსკია ვედომოსტი“ იუწყება, საიმპერატორო თეატრის არტისტები და მგალობელთა დასი ო. ფ. საკოვიჩის ლოტბარობით. სხვათა შორის იმღერებენ რამდენსამე ქართულ სიმღერასაც, რომლებიც გადაღებულია ადგილობრივ ა. კ. კორომშენკოს მიერ. დარბაზი მოწყობილი იქმნება ჩვენებურს გემოვნებაზედ.

✦ რუსული დრამატიული დასი ბ-ნის დალსკისა გუშინ წავიდა ტფილისიდან ქუთაისში, სადაც ის გამართავს რამდენიმე წარმოდგენას და 1 ნოემბერს ისევ ტფილისში დაბრუნდება.

✦ განზრახვა აქვთ ააშენონ ტფილისის მაზრაში სამი საპყრობილე მათთვის, რომელთაც მომრიგებელ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილი ექნებათ დაპატიმრება. ამ შენობებს ააშენებენ: ერთს სოფელ სართიჭალაში ივრის ხეობისათვის, მეორეს — ტფილისიდან 25 ვერსის მანძილზე ტფილისის ახლო-მახლო მდებარე სოფლებისათვის და მესამეს სოფელ პრიუტში იმ მცხოვრებთათვის, რომელნიც ტფილისის საპოლიციო ნაწილს ეკუთვნიან. („ტფ. ფ.“)

✦ როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამ ჟამად უკვე მოსპობილია დიფტერიტი ფშავსა და გუდამყარის მცხოვრებთა შორის. თხუთმეტს სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე იქ ამ სენისაგან ავად გახდა 125 და გარდაიცვალა 20 კაცი. („ტფ. ფ.“)

✦ 7 დეკემბერს სამიწად-მოქმედო სამინისტროსთან მოწვეული იქმნება სამეურნეო საბჭოს სესსია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხები სამეურნეო გამოფენათა გამართვისა და საუკეთესო მამულებისათვის პრემიების დანიშვნის შესახებ.

✦ იანვრისათვის განზრახულია შეცვლა ტარიფისა მატყლის გადაზიდვისათვის რკინის გზებზე.

✦ განჯიდან იტყობინებიან, რომ 25 ნოემბერს ადგილობრივ საოლქო სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად საქმე სამის თათრისა, რომელთაც ჰბრალდებათ გუბერნატორის თავ-დასხმის განზრახვა, როდესაც იგი სოფ. სლავიანკაში მიდიოდა.

✦ ხმა, ვითომც ტფილისის სათიზიკო ობსერვატორია მცხეთაში გადაჰქონდეთ, უსაფუძვლო გამოდგა; გადააქვთ მხოლოდ ერთი ნაწილი იმისი, სახელდობრ, სამაგნიტო განყოფილება, რომლის დატოვება ტფილისში მოუხერხებელია, რადგან ელექტრონის ტრამვაი უნდა გაკეთდეს.

---

**შეცდომის გასწორება.** — გუშინ «ახალ ამბებში» კორრექტურული შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილი იყო: სადღესასწაულო პანაშვიდი, უნდა იყოს: სადღესასწაულო პარაკლისი.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ გერმანელი გაზეთები იტყობინებიან, რომ ლორდი რობერტსი 20 ნოემბერს წავა ინგლისში. მიუხედავად ამისა, ინგლისიდან ახალ ჯარებს და ცხენებს ჰგზავნიან სამხრეთ აფრიკაში. ამ ბოლოს დროს მაინც ნამეტანის სიჩქარით ჰგზავნიან ჯარებს. ეს გაგზავნა ჯარებისა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ინგლისელებს დიდ-ძალი ჯარის-კაცები დაუხოცეს: — 3601 კაცი. ამ რიცხვიდან 142 კაცი მოუკლავთ დევეტთან ბრძოლებში ერთის კვირის განმავლობაში, დანარჩენები დახოცილან სხვა ბრძოლებში და უმთავრესად სხვა და სხვა ავადმყოფობის მიზეზებით.

∝ ტრანსვაალში ბურებს ჰშვენოდა მთელი რაზმი უცხოელებისა; ეს რაზმი ამ ჟამად დაიშალა და მის უფროსად ნამყოფი პოლკოვნიკი რიჩარდი შემდეგ საყურადღებო ცნობებს ატყობინებს ერთს გერმანულ გაზეთს:

«ინგლისელები ვერასოდეს ვერ მოახერხებენ, — ამბობს რიჩარდი, სრულიად დაიმორჩილონ ბურები; ის ადგილი, რომელიც ეხლა ინგლისელებს ხელთ უჭირავთ, შესამჩნევად იმაზედ ნაკლებია სივრცით, სინამ ესა ჰგონიათ. ბურებს ეხლა მთაადგილები უკავიათ: მათი სტრატეგიული მდგომარეობა მშვენიერია, უკეთესი აღარ უნდა. ეგარის, რომ სურსათის მიტანა უჭირდებათ ამ მთებში; ამისათვის ბურები იძულებულნი არიან სურსათი ინგლისელებს წაართვან ხოლმე. უცოდინელობა ინგლისელებისაგან ბურებისა და კაფრების ენებისა უფრო უძნელებთ მათ ტრანსვაალის დაჭერობას. ამ ნაკლის მოსაშორებლად ბადენ-პოუელი ეხლა აწყობს მკვიდრთაგან 25,000 კაცის პოლიციის რაზმს; მაგრამ ეს მკვიდრები, უეჭველია, პირველ მარჯვე შემთხვევაზედვე გადავლენ ბურების მხარეს. საოცარია სწორეთ, თუ რა მოხერხებით ომობენ ბურები. ინგლისელებისაგან დაწუნებულს და დატოვებულს ცხენებსაც კი გამოიყენებენ ხოლმე. დევეტის უფროსობის ქვეშ ამ ჟამად 20,000 ჯარის-კაცამდე იქნება».

რიჩარდის სიტყვით, მისი თავი ინგლისელებს 3000 გირვ. სტერლინგად ჰქონიათ დაფასებული, მაგრამ ამ ფიმას ვერ გაუჩრია: გამცემელი და მოღალატე არავინ გამოჩენილა კეთილშობილ ბურებში.

∝ სამხრეთ აფრიკაში დასახლებულ ინგლისელების კომიტეტს გამოუცია ბროშიურა წინააღმდეგ ინგლისელების მთავრობის ქცევისა ტრანსვაალში. ბროშიურა უმეტეს ნაწილად მიმართულია წინააღმდეგ მილნერისა და ლორდ რობერტსისა. ესენი თურმე უმთავრეს ადგილებს ოქროს შემმუშავებელ საზოგადოებაში აძლევენ ადვოკატებს და გაზეთის რედაქტორებს, რომელნიც ამის გამო უბრალო პოლიტიკურ იარაღად ხდებიან მთავრობის ხელში. ბროშიურაში ჩამოთვლილია მთავრობის ბევრი ისეთი განკარგულებები, რომელთაც საგნად აქვთ კეთილ-დღეობა კერძო პირებისა და მთავრობას მხოლოდ ზარალს მოუტანენ. ეტყობა, ტრანსვაალში დასახლებული ინგლისელები ვერც ინგლისის მთავრობამ მოიმადლიერა, და აბა ბურებს რაღას ამტყუნებდნენ.

∝ ინგლისურ გაზეთებში სწერენ, რომ ბურებმა ისე მოაწყვეს თავიანთი ჯარი, რომ ეხლა მას თავისუფლად შეუძლიან კიდევ 6 თვე მაინც ებრძოლოს ინგლისელებსო. კიდევ ექვსი თვე! — ამის გაგონებაზედ ინგლისელებს მთავარი მცნება ებნევათ და აღარ იციან, ვის მოახვიონ ბრალი ამ დაუსრულებელი ომისა. ჯერ-ჯერობით უმეტესი რობერტს უსაყვედურებენ, რომ მან ვერ გაამართლა ინგლისის ერის იმედებიო; ხასიათის საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინაო, ბურების მეთაურების კერპობა ვერ შედრიკაო, სხვა უმისო რამენაირად მოახერხებდა და ხელს ააღებინებდა მათ ამაო სისხლის დვრაზედაო. ეხლა კი, თუ ბურები ხელ-მეორედ დაიწყებენ წესიერ ბრძოლას, ინგლისს დასჭირდება დიდი ჯარის ყოლა სამხრეთ-აფრიკაში; ამას გარდა, ამ შემთხვევაში არც სხვა სახელმწიფოები გახდებიან თანახმა რესპუბლიკების შემოერთებაზედ. შემდეგ, ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, კრიუგერის მეცადინეობამ არ გასჭრას და საფრანგეთი და რუსეთი საქმეში არ გაერივნენო. უკეთუ ეს სახელმწიფოები იკისრებენ ამ საქმეში შუამავლობას, ინგლისი მათ უარს ვერ ეტყვის, თუ არ უნდა, რომ კიდევ ახალი უთანხმოება და დატაკება მოუხდეს ამ სახელმწიფოებთან.

∝ შანსის პროვინციის გუბერნატორი იუ-სიენი, გათქმულთ მისსიონერთა მხეცურად ამოწყვეტით, დღესაც ცოცხალი ყოფილა, თუმცა ოფიციალურადაც კი იყო გამოცხადებული, რომ მან თავი მოიკლაო. ეხლა თვით ჩინური ოფიციოზები იძულებულნი არიან გამოაცხადონ, რომ მათგან გავრცელებული ცნობები ტყუილი გამოდგაო. ისინი აცხადებენ ვითომ იუ-სიენს თავის მოსაკლავად ჩაუყლაპავს ოქროს ნაჭერი (?!), მაგრამ გადარჩა, რადგან დროზედ უშველეს ექიმებმაო. ამ ჟამად იუ-სიენი იმყოფება ტაიუენფუში, სადაც იგი დედოფლის ბძანებასა და დარიგებას ელის. არც სხვა გარდაცვალებულნი მაღალ წარჩინებული მოხელეთაგან დაიგვიანებენ და მალე გაცოცხლდებიან.

∝ ამბობენ, რომ ზავის ერთ-ერთ პირობათაგანს შეადგენს მოთხოვნილება — ეხლანდელს ტახტის მემკვიდრეს ჩამოერთვას მისი უფლება. როგორც ვიცით, ჩინეთის მემკვიდრე არის შვილი თავად ტუანისა.

∝ იაპონიის გაზეთებს უანგარიშნიათ, რომ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში გერმანიას მიუყიდნია ჩინეთისათვის 15 მილიონი

მარჯის იარაღი, თავის წამალი და ნაღმიანი გემები. ამ ჟამადაც შტეტინში დამზადებულია ჩინეთისათვის სამი კრეისერი და ორი ნაღმის გემი.

∝ «ცენტრალ ნიუსა»-ის სიტყვით, შანჰაიში ამ დღეებში საჯაროდ დასაჯეს ერთი ჩინელი რეფორმისტი. სიკვდილით წინათ იგი ისე საშინლად აწამებიათ, რომ ვეღარ მისულა თავის-თავად დასასჯელ ადგილზე.

# თეატრი

**სახაზინო თეატრი.** მეფის საცოლე, ოპერა; მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა. რუსის კომპოზიტორთა შორის რიმსკი-კორსაკოვს უჭირავს ერთი უპირველესი ადგილთაგანი მელოდიური და ჰარმონიით სავსე მუსიკით. გარდა ამისა, რიმსკი-კორსაკოვი განსაკუთრებით ამ ოპერაში ფართო ადგილს უთმობს მომღერალთ იმით, რომ სიმღერის დროს ორკესტრი მხოლოდ ნაზი მობანეა, თუნდა სცენაზე გრძნობათა მღელვარება უმაღლეს წერტილამდე ავიდეს. კომპოზიტორი ორკესტრს თავისუფლებას აძლევს მოქმედების ან სცენის დაწყებამდე, ან სცენაზე არტისტთა სიჩუმის დროს. ეს ღირსება სასიამოვნო შთაბეჭდილებასა ჰგვრის მსმენელზე მეტადრე მაშინ, როდესაც არტისტებს არ ჰღალატობს ხმა და ნიჭი თამაშობისა. ტფილისის სცენაზედ, რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, მხოლოდ წელს დაიდგა ეს ოპერა და გარდა კომპოზიტორის სახელისა, ამითიც აიხსნება, რომ თეატრს პირველშიაც და მეორე წარმოდგენაზედაც მრავალი დაესწრო. აღმასრულებელთა შორის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ქ-ნ პაპაიანს, რომელიც განსაკუთრებულის ნიჭით თამაშობდა და მღეროდა, მეტადრე მეოთხე მოქმედებაში სობაკინის ქალის მართას პარტიას. ქ-ნს პაპაიანს ყოველთვის ეხერხება ამგვარის სულით და გულით მობრძავი პარტიის ასრულება. შემდეგ კარგად და გრძნობით აასრულა თავის პარტია ქ-ნ პლატონოვისამ. სვეტლოვიც თითქო უკეთესი იყო, ვიდრე წინად, თუმცა ადგილ-ადგილ მაინც სუსტობდა. მშვენივრად შეასრულეს კვარტეტი მეორე მოქმედებაში სიბირიაკომა, სვეტლოვმა, პლატონოვისამ და პაპაიანმა. ეს კვარტეტს გაამეორებინეს. სცენის მოწყობილებაც შესაფერი და კარგი იყო.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**30 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** 26 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორი ინფლუენციით ავად გახდა. ავადმყოფობა ნორმალურად მიმდინარეობს, უავგუსტოესი ავადმყოფი კარგად გრძნობს თავსა და ამიტომ ყოველდღიური ბიულეტენი არ გამოცხადდება.

**პეკინი.** სამი მოხელის თავის მოკვეთამ პაოტინფუში და მათი თავების სახალხოდ გამოტანამ მკვიდრ მცხოვრებლებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

**პეკინი.** მიუხედავათ ელჩების გამოცხადებისა, რომ კონფერენციებზედ სრული თანხმობა ჰსუფევსო და რომ ელჩები ყველა სათათბირო კითხვების შესახებ შეთანხმდნენო, საფუძველი არის ვიფიქროთ რომ მოლაპარაკება ჯერ არ შეჰხება საყურადღებო საკითხებს და რომ ჯერ მსჯელობაც არა ჰქონიათ ზარალის ზღვევის შესახებ. ელჩები არავითარს ცნობებს არ იძლევიან მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ. საფიქრებელია, რომ საერთო თათბირი ჩინეთის რწმუნებულებთან დიდხანს გასტანს. სარწმუნო წრეებში არ სჯერათ იმპერატორის სახლობის დაბრუნება, სანამ უცხოელთა ჯარები პეკინში არიან.

ლიხუნჩანგმა იმპერატორისაგან მიიღო ნოტა, რომელშიაც იმპერატორი უარს აცხადებს ბრძანება გამოსცეს ტუნფუსიანის სიკვდილით დასჯის შესახებ; იმპერატორს სურვილი აქვს მხოლოდ სამსახურიდან გადააყენოს შანსის გუბერნატორი იუსიენი; ლიხუნჩანგს ნოტა ჯერ არ გადაუცია ფორმალურად ელჩებისათვის.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 გ. 8½ კ. |
| სუკი . . . . . | » | — 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი | . 1 » | — 10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » » | 3½ | » |
| » » | III | » » | 3 | « |
| იგივე თონის | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | 3½ | « |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » » | 6 | » |
| » » | II | » » | 4 | » |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

სათოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სათოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულითავადმყოფთათვის.** უფასო —იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ სტიზენგაუზენის და გუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

**ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა**

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოლოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები მველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.

— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
ჰყონია ალ. ისტორიული ნარკვევი 1 მან. და 50 კაპ.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მიკავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვერი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწამვის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანა», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განა», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონა», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინა», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენა», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანა», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე რეინეკე გუდა-მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ექი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი ძაღლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მძიმე სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილამე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამაიანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამიებლნი» და «პირის-პირ». 20 კ.

გოგებაშვილი ი. დედა-ენა უდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, უდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— **Русское слово** ნაწ. 1 უდ. 40 კ.
— **Русское слово** ნაწ. II უდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. **Учебникъ грузинскаго языка для русскихъ.** 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ზანჯვლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუმანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ციხე. თარგ. 5 კ.
ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «იგვრია» და «მევლეე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-დ XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— მატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტულუზაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირითადი უკუღმართობა. 20 კ.

სოლომონ მსაჯული. ელოვა ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარაბდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰელმ ტელი. 15 კ.
ცაბელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა. 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჰონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

ეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიგური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამომც. გ. ყუხია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.